განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
"დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

"დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონპროექტის მომზადების მიზეზია ის გარემოება, რომ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულია საქართველოში დაშვებული დაცული ტერიტორიების კატეგორიები სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. ამ კანონით არის ასევე განსაზღვრული აღნიშნული დაცული ტერიტორიების შექმნის და მართვის საკითხები, თუმცა გარკვეული საკითხები მოითხოვს მეტი სიცხადის შეტანას კანონმდებლობაში, კერძოდ, დაცული ლანდშაფტის და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვის საკითხი. კანონის თანხმად, ზემოაღნიშნული ეს ორივე კატეგორია მოიცავს საკმაოდ ვრცელ არეალს და შეიძლება მოიცავდეს დასახლებებსაც (თუშეთის დაცული ლანდშაფტი, რომელიც მოიცავს თუშეთში არსებულ ყველა სოფელს). კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, დაცულ ტერიტორიებს მართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტო. შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის სრულიად მართვას სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო ვერ განახორციელებს, ვინაიდან დასახლებული პუნქტებისთვის დამახასიათებელი რიგი პრობლემების და საკითხების გადაჭრა სცილდება მის კომპეტენციას, თუმცა, კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო უფლებამოსილია, კომპეტენციის ფარგლებში, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, მართოს დაცული ლანდშაფტები. სწორედ აღნიშნული რეგულაციის საფუძველზე თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვას ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილებით ხდება დაცული ტერიტორიების მართვის საკითხის დაზუსტება, რომელიც გამომდინარეობს "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-15 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნატისა და მე-3 ნაწილის მოთხოვნიდან, კერძოდ, მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს გარკვეული

უფლებამოსილების დელეგირების წესით გადაცემასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მომზადდა "არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ" და "თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ" კანონპროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ აღნიშნული დაცული ტერიტორიების მართვას მუნიციპალიტეტების მიერ. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებით ზუსტდება, რომ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს გარდა, დაცული ტერიტორიის მართვა შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პირებიც მიერ, კანონით განსაზღვრული შემთხვევებში.

ასევე იმისთვის, რომ დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე მასშტაბური ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული იყოს ცენტრალური ხელისუფლებაც, კანონში კეთდება დათქმა, რომლის მიხედვითაც, ასეთ ტერიტორიებზე ენერგეტიკული მნიშვნელობის პროექტების მშენებლობაზე გადაწყვეტილებას, განკარგულებით, მიიღებს საქართველოს მთავრობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი :

კანონპროექტის მიზანია "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით მკაფიოდ განისაზღვროს, რომ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს გარდა, დაცული ტერიტორიის მართვა შესაძლებელია განახორციელოს სხვა პირმაც. ასევე, დადგინდეს წესი დაცული ლანდშაფტის ტერიტორიებზე განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება ორი მუხლისგან. პირველი მუხლით განსაზღვრულია კანონში შესატანი ცვლილების არსი, კერძოდ, ცვლილება შედის კანონის მე-18 და მე-20 მუხლებში. ხოლო კანონპროექტის მე-2 მუხლში მოცემულია კანონის ამოქმედების ვადა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას, ვინაიდან დღეის მდგომარეობით არაა ცნობილი რომელიმე

დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე განზრახულია თუ არა ენერგეტიკული ობიექტის მშენებლობა.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპრექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე ისეთი

ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. აგრეთვე კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.